რადიო თავისუფლების შეკითხვები თბილისის მერიას

2023 წლის 3 მაისს, თბილისის მთავრობის სხდომაზე თბილისის მერმა გაახმაურა პროექტი თბილისში, A კლასის ტაქსებში მგზავრობის საფასურის QR კოდებით გადახდის სისტემის დანერგვის შესახებ.

კახა კალაძემ ამ პროექტის იდეის ავტორად დაასახელა კომპანია BKN301 Georgia. ეს კომპანია იმ დროისთვის საჯარო რეესტრში დაახლოებით 1 წლით ადრე იყო დარეგისტრირებული სახელწოდებით „კალა ფეი“ - Kala Pay LLC (ს/ნ: 405545227).

ამ კომპანიას BKN301 Georgia დაფუძნებიდან რამდენიმე თვეში ეწოდა.

საჯაროდ გავრცელებული არაერთი წყაროს მიხედვით, ამ პროექტის განხორციელებაში ჩართული იყო კომპანია „ქიფზ.მი“ (ს/ნ: 405618915). „რადიო თავისუფლების“ ინფორმაციით, ზემოხსენებულ ორივე კომპანიასთან კავშირი ჰქონდა (სხვადასხვა პერიოდში, სხვადასხვა მოცულობის წილებს ფლობდა) ვახტანგ (ვაკო) თურნავა.

ზემოაღწერილიდან გამომდინარე, გთხოვთ, გვიპასუხოთ რამდენიმე შეკითხვაზე:

1. კახა კალაძის ინიციატივით თბილისის ტაქსებში QR კოდით გადახდის სისტემის დანერგვაში რაიმე ფორმით მონაწილეობდა თუ არა ვახტანგ თურნავა და თუკი - რა ფორმით და სტატუსით.ამ პროექტის განხორციელებისთვის თბილისის მერიის ან მისი სტრუქტურული ერთეულების ფინანსური ან მატერიალური რესურსი იყო თუ არა დახარჯული და რა სახის და მოცულობის.

2. რამდენ ტაქსში მოხდა ამ სისტემის დანერგვა, დღეს რამდენ ტაქსშია მოქმედი გადახდის აღნიშნული სისტემა და რომელი კომპანია უზრუნველყოფს QR გადახდების სისტემის მომსახურებას თბილისის A კლასის ტაქსებში დღევანდელი მდგომარეობით.

3. ტაქსებში QR კოდით გადახდის განმახორციელებელი კომპანია იყო დაკავშირებული, ვაკო (ვახტანგ) თურნავასთან, რომელიც დღეს დეპუტატია და ჩვენი ინფორმაციით ქალაქის მერის, კახა კალაძის მეგობარი. თურნავას ფაქტორმა ხორ არ განაპირობა ქალაქის მერის მიერ ამ ინიციატივის მხარდაჭერა და ერთგვარი რეკლამირება.

4. ვახტანგ თურნავა არის თუ არა ბატონი კახა კალაძის მეგობარი?

პატივისცემით, გიორგი მგელაძე

„რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი

თბილისის მერიის პრეს-სამსახურის პასუხები

თბილისის A კატეგორიის ტაქსებში QR კოდით გადახდის სისტემის დანერგვის ინიციატივა ეკუთვნოდა კერძო სექტორს, რაც მგზავრებისთვის გადახდის პროცესის გამარტივებასა და დამატებითი კომფორტის შექმნას ისახავდა მიზნად. შეთავაზება A კატეგორიის ტაქსის მძღოლებისთვის იყო ნებაყოფლობითი და არ გულისხმობდა არანაირ სავალდებულო წესს. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი არ ფლობს არანაირ ინფორმაციას, ისარგებლეს თუ არა ტაქსის მძღოლებმა აღნიშნული შეთავაზებით.

თბილისის მერია მიესალმება ნებისმიერ საინტერესო ინიციტივას, რაც მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. აღნიშნული პროექტიც სწორედ კერძო სექტორის ინიციატივას წარმოადგენდა, რომლის დანერგვაც ნებაყოფლობითი იყო.

A კატეგორიის ტაქსებში QR კოდით გადახდის სისტემის განხორციელებისთვის თბილისის მუნიციპალიტეტის მხრიდან, რასაკვირველია, არანაირი ფინანსური თუ მატერიალური რესურსი არ გამოყოფილა.

მერია არ მონაწილეობს ტაქსებში QR კოდების განთავსებასა და საგადახდო სისტემის ოპერირებაში. შესაბამისად, ჩვენ არ ვაწარმოებთ სისტემაში ჩართული ტაქსების რაოდენობის სტატისტიკას.

თბილისის მერს არაერთხელ აქვს გაცემული პასუხი მაგ კითხვაზე, რომ არ აინტერესებს რომელი კომპანია ვისი საკუთრებაა და მაგალითად ხაზარაძის თიბისიც ხშირად მოუყვანია, თუ როგორ თანამშრომლობს მუნიციპალიტეტი. შესაბამისად, თქვენს კითხვაზე კიდევ ერთხელ გპასუხობთ იგივეს- არა აქვს მნიშვნელობა ვის ეკუთვნის კომპანია, მთავარია დედაქალაქისთვის სასიკეთო იყოს მათი ინიციატივები.

მერი ვისთან მეგობრობს, ცხადია არ ვიცი და არც უნდა ვიცოდე. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მუნიციპალიტეტი მიესალამება კერძო ბიზნესის ინიციატივებს, თუ ის მომსახურების სფეროს გააუმჯობესებს, ვინც გინდა იყოს ინიციატორი.